

მარინა ლუარსაბიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუენის
ავილირებული ასოცირებული პროფესორი

სამრეწველო და სავაჭრო კომპანიების შედარებითი დახასიათება

ანოტაცია

საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯები მკვეთრად უნდა იყოს ერთმანეთისაგან გამიჯნული. საწარმოო და სავაჭრო დანახარჯების დაჯგუფება შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს მთლიანი საწარმოო დანახარჯი. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ, როდესაც მზა პროდუქცია საწყობს გადაეცემა, როგორც მზა პროდუქცია, გადაეცემა ისეთი ღირებულებით ხდება, რომელიც ასახავს მის საწარმოებლად გაწეულ მთლიან საწარმოო დანახარჯს.

სავაჭრო ადმინისტრაციული, რეალიზაციის, კომერციული და ფინანსური დანახარჯები არ არის დაკავშირებული საწარმოო პროცესთან (არ არის ლოკალიზებული საწარმოო შენობაში), ამდენად, ისინი არ მიეკუთვნება საწარმოო დანახარჯების კატეგორიას.

საკვანძო სიტყვები: სამრეწველო კომპანია, საწარმოო დანახარჯი, არასაწარმოო დანახარჯი, საოპერაციო ხარჯი, საერთო მოგება.

სამრეწველო და სავაჭრო კომპანიების შედარებითი დახასიათება

სამრეწველო და სავაჭრო კომპანიები ბევრი რამით წააგავს ერთმანეთს: ორივე მათგანისათვის შემოსავლის ძირითად წყაროს რეალიზაციის მოცულობა (გაყიდვები) წარმოადგენს; ორივე მათგანის მოგება-ზარალის უწყისებში ფიგურირებს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების პუნქტები და მრავალი სხვა. მაგრამ არსებობს განსხვავებებიც. მათ შორის არსებითია ის, რომ სავაჭრო საწარმო ყიდულობს და ყიდის დასრულებულ, გასაყიდად ვარგის პროდუქციას, ხოლო სამრეწველო საწარმო თვითონ ახდენს ამ უკანასკნელის დამზადებას. აღნიშნულის გამო, სავაჭრო საწარმოს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (რპთ) განისაზღვრება პროდუქციის შესყიდვასა და ტრანსპორტირებაზე გაწეული დანახარჯებით, მაშინ, როდესაც სამრეწველო საწარმოსათვის იგი საწარმოო დანახარჯებითაა განსაზღვრული. ეს განსხვავება ასახავს პოულობს მათი მოგება-ზარალის უწყისების რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განაკვეთში:

მაღაზია A
მოგება-ზარალის უწყისი
2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

რეალიზაციის მოცულობა ----- 95000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:
გასაყიდი საქონლის საწყისი მარაგები ----- 5500
წმინდა შესყიდვები ----- 4800
სარეალიზაციო პროდუქციის თვითღირებულება 10300



მინუს: გასაყიდი საქონლის საბოლოო მარაგები --- 3780
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ---- 6520
საერთო მოგება რეალიზაციიდან 88480

საწარმოო ფირმა B

მოგება-ზარალის უწყისი

2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

რეალიზაციის მოცულობა89000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:
მზა (გასაყიდი) პროდუქციის საწყისი მარაგები55000
წარმოებული (მზა) პროდუქციის თვითღირებულება ...30000
სარეალიზაციო პროდუქციის თვითღირებულება85000
მინუს: მზა პროდუქციის საბოლოო მარაგები35000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება50000
საერთო მოგება რეალიზაციიდან39000

მოგება-ზარალის უწყისთა მოყვანილი ამონარიდიდან ვხედავთ, რომ სავაჭრო საწარმოს მოგება-ზარალის უწყისში წარმოდგენილი წმინდა შესყიდვების ნაცვლად სამრეწველო საწარმოს მოგება-ზარალის უწყისში გვაქვს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების პუნქტი. მისი სიდიდე გვიჩვენებს მზა პროდუქციის საწარმოებლად გაწეული ყველა საწარმოს დანახარჯების ჯამს.

სამრეწველო საწარმო ყიდულობს ნედლეულს და გარდაქმნის მას მზა პროდუქციად. მაგალითად, თვითმფრინავმშენებელი კომპანიისათვის ნედლეულს წარმოადგენს ალუმინის, რკინის, პლასტმასის და სხვა მასალების დეტალები, რეაქტიული ძრავა, ელექტრო და სხვა მოწყობილობები და ა. შ. აღნიშნულ ნედლეულს კომპანია გარდაქმნის მზა პროდუქტად – რეაქტიულ თვითმფრინავებად. ნედლეული და მზა პროდუქცია პირობითი ცნებებია და განისაზღვრება კონკრეტულ საწარმოსთან მიმართებაში. მაგალითად, ძრავა, რომელიც თვითმფრინავმშენებელი კომპანიისათვის ნედლეულია, ძრავების მშენებლისათვის მზა პროდუქტად გვევლინება. წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულება განისაზღვრება მის საწარმოებლად გაწეული საწარმოო დანახარჯების ჯამით.

საწარმოო ისეთი დანახარჯებია, რომლებიც გაიწევა ნედლეულის მზა პროდუქციად და ნაწილობრივ მზა პროდუქციად (დაუმთავრებელი წარმოება) გარდაქმნის პროცესში.

საწარმოო დანახარჯები სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგება: მოხმარებული ნედლეული; პირდაპირი შრომა; პირდაპირი გასავლები, ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები, მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები.

მოხმარებული (გამოყენებული) ნედლეული – საწარმოო დანახარჯების ეს ელემენტი მზა პროდუქციის წარმოებისათვის მოხმარებული მასალების, ნაკეთობებისა და სხვა ელემენტების ღირებულებას (თვითღირებულებას) წარმოადგენს. ნედლეული საწარმოო დანახარჯების კატეგორიაში მისი მოხმარების შემდეგ გადადის. საწყობში დარჩენილი ჯერ კიდევ მოხმარებული ნედლეული მიმდინარე აქტივი – ნედლეულის მარაგებს წარმოადგენს. მოხმარებული ნედლეულის თვითღირებულების გამოთვლა განისაზღვრება შემდეგნაირად:

მოხმარებული ნედლეული:

ნედლეულის საწყისი მარაგები	2590
შესყიდული ნედლეული	15990
ნედლეულის შემოზიდვის დანახარჯები	1500
მოსახმარი ნედლეულის თვითღირებულება	20080
მინუს: ნედლეულის საბოლოო მარაგები	2100
მოხმარებული ნედლეულის თვითღირებულება	17980

მოხმარებული ნედლეულის გამოთვლის მოყვანილი წესი გამოიყენება მარაგების პერიოდული აღრიცხვის სისტემის შემთხვევაში და იგი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გამოსათვლელი ფორმულის ანალოგიურია. მარაგების უწყვეტი აღრიცხვის სისტემის გამოყენებისას რაიმე პერიოდში მოხმარებული ნედლეულის სიდიდე ანგარიშ ნედლეულზე ამ პერიოდში შესრულებული კრედიტული გატარებების ჯამის (კრედიტის ბრუნვის) ტოლია.

პირდაპირი შრომა (შრომითი დანახარჯები) – საწარმოო დანახარჯების მეორე ძირითადი ელემენტი უშუალოდ პროდუქციის წარმოებაზე დასაქმებული ქარხნის მომუშავეთა ხელფასების ჯამს წარმოადგენს. მომუშავეთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება ზეინკლები, ხარატები, ამწყობები, მღებავები და ქარხნის სხვა მომუშავეები, რომლებიც ხელით ან იარაღების (საშუალებების) გამოყენებით ნედლეულს მზა პროდუქციად გარდაქმნიან.

საწარმოო ზედნადები დანახარჯები – საწარმოო დანახარჯების ამ კატეგორიაში გაერთიანებულია მოხმარებული ნედლეულისა და პირდაპირი შრომისაგან განსხვავებული ყველა საწარმოო დანახარჯი.

საწარმოო ზედნადების დანახარჯებია:

არაპირდაპირი შრომა – საამქროსა და ცვლის უფროსების; ქარხნის დამლაგებლის; ქარხნის მედპერსონალის; ქარხნის უსაფრთხოების ინჟინრების და სხვ.

საწარმოო შენობის დანახარჯები – საწარმოო შენობის ცვეთა; საწარმოო შენობის დაზღვევა; საწარმოო შენობისა და მიწის უძრავ ქონებაზე გადასახადი; შენობის შენახვა და რემონტი; საწარმოო შენობის ელ-მომარაგება, განათება, წყალმომარაგება და სხვა კომუნალური დანახარჯები.

საწარმოო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების დანახარჯებია – საწარმოო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების ცვეთა; საწარმოო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების დაზღვევისა და უძრავ ქონებაზე გადასახადი; საწარმოო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შენახვა და რემონტი; მოხმარებული სათადარიგო ნაწილები, საცხებ-საპოხი და სხვა მასალები და ა.შ.

ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისთვის გაწეული დანახარჯებია – შრომის უსაფრთხოება; ფეკალური წყლებისა და გამონაბოლქვი აირების გაწმენდა და სხვ.

პირდაპირი გასავლები – გასავლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობს პროდუქტის შექმნაში, მაგალითად მაისურების წარმოებაში, მხოლოდ მაისურების შესაკერად გამოყენებული საკერავი მანქანების ცვეთა.

ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯი – ზედნადები ხარჯი, რომელიც იცვლება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის პირდაპირპროპორციულად, მაგალითად, მანქანა-დანადგარებისათვის გამოყენებული საწვავი.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები – ზედნადები ხარჯი, რომელიც არ იცვლება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილების მიუხედავად, მაგალითად, ქარხნის საიჯარო ქირა.

სავაჭრო ადმინისტრაციული, რეალიზაციის, კომერციული და ფინანსური დანახარჯები არ არიან დაკავშირებული საწარმოო პროცესთან (არ არიან ლოკალიზებული საწარმოო შენობაში), ამდენად, ისინი არ მიეკუთვნებიან საწარმოო დანახარჯების კატეგორიას და არასაწარმოო დანახარჯებად არის მიჩნეული. არასაწარმოო დანახარჯები:

- ✓ ადმინისტრაციული დანახარჯები – დანახარჯები, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციის საერთო ადმინისტრაციული დანიშნულების ქვედანაყოფების, მაგალითად, ბუღალტერიის, ასამოქმედებლად.
- ✓ რეალიზაციის დანახარჯები – დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლებისაგან (კლიენტებისგან) ორგანიზაციის პროდუქციის შეძენაზე და შეკვეთების მიღებასთან (გაყიდვების განყოფილების დანახარჯები) და მარკეტინგის დანახარჯები.
- ✓ კომერციული დანახარჯები – დანახარჯები, რომლებიც მონაწილეობს ორგანიზაციის მზა პროდუქციის დისტრიბუციაში, როგორიცაა, მაგალითად საწყობების შენახვის დანახარჯები, ან პროდუქციის მიწოდების დანახარჯები.
- ✓ ფინანსური დანახარჯები – დანახარჯები, რომლებიც გაიწევა ორგანიზაციის დასაფინანსებლად, მაგალითად, სესხის პროცენტი.

საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯები მკვეთრად უნდა იყოს ერთმანეთისაგან გამიჯნული. საწარმოო და სავაჭრო დანახარჯების დაჯგუფება შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს მთლიანი საწარმოო დანახარჯი. მთლიანი საწარმოო დანახარჯი არის ზღვრულ საწარმოო დანახარჯს (მთლიანი პირდაპირი დანახარჯები) დამატებული ნებისმიერი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯი. მნიშვნელოვანია, ნათლად განისაზღვროს ამა თუ იმ პროდუქტის მთლიანი საწარმოო დანახარჯი და ეს იმისთვისაა საჭირო, რომ როდესაც მზა პროდუქტია საწყობს გადაეცემა როგორც მზა პროდუქტია, გადაეცემა ისეთი ღირებულებით ხდება, რომელიც ასახავს მის საწარმოებლად გაწეულ მთლიან საწარმოო დანახარჯს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკვაშვილი ზ., „მენეჯერული აღრიცხვა“, თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისი, 2006
2. მ. ლუარსაბიშვილი, მ. გელაშვილი – „მმართველობითი აღრიცხვა (მოკლე კურსი) – თბილისი, 2025
3. ACCA საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტთა ფედერაცია (ბაფი) წიგნი F2 „მმართველობითი აღრიცხვა“ – თბილისი, 2011
4. Horngren T., Datar M., Foster G., „Cost Accounting a Managerial Amphasis,“ 2012
5. <http://pbi.ge/>